დადგენილება:**დ-37.37222512**
თარიღი:**08/09/2022**

დადგენილება N30

2022 წლის 07 სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების

თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის (პროგრამული კოდი 06.02.13) განხორციელების წესი თანახმად N1 დანართისა.

მუხლი 2.

დამტკიცდეს პროგრამის საპროექტო განაცხადის ფორმა თანახმად N2 დანართისა.

მუხლი 3.

დამტკიცდეს სოციალური მიზნის მქონე პროექტების მხარდაჭერის/ თანადაფინანსების მიზნით, წარმოდგენილი პროექტების შესრულების ფინანსური ანგარიშის ფორმა თანახმად N3 დანართისა.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

გამოყენებულია კვალიფიციური